დ ა ს კ ვ ნ ა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. გოგოლესუბანში მდებარე 340.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ - [redacted]) ელექტრონული აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით (იჯარა) განკარგვის შესახებ თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მე–2 პუნქტის შესაბამისად ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშავა განკარგულების პროექტი ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფ. გოგოლესუბანში მდებარე 340.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ - [redacted]) ელექტრონული აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით (იჯარა) განკარგვის შესახებ თანხმობის მიცემისა და ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობის განსაზღვრის თაობაზე“.

განკარგულების პროექტი შესაბამისობაშია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე.დ“ და 54–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ი“ ქვეპუნქტებთან, 122-ე მუხლის მე-1 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტთან და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის #669 დადგენილებით დამტკიცებული ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 22-ე მუხლის მე-2 პუნქტთან და 36-ე მუხლთან, რომელთა თანახმადაც მერის წარდგინებით, საკრებულო უფლებამოსილია მისცეს მერს თანხმობა უძრავი ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით სარგებლობის უფლებით განკარგვასათან დაკავშირებით და განსაზღვროს განსაკარგავი ქონების ქირის საწყისი წლიური საფასურის ოდენობა.

ზემოაღნიშნული განკარგულების მიღების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის შესაბამისად მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტია საკრებულოს განკარგულება.

ადმინისტრაციული სამსახურის სამართლებრივი

უზრუნველყოფისა და ადამიანური რესურსების

მართვის განყოფილების უფროსის

მოვალეობის შემსრულებელი: *ბ. ქურდაძე* *ბიძინა გიგოლაშვილი*